

ზოგადი უნარების ტესტი

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი შედგება ორი - ვერბალური და მათემატიკური - ნაწილისგან.

თითოეული ნაწილი 40 დავალებას შეიცავს. ყოველ დავალებას ახლავს ოთხი ან ხუთი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

ტესტის თითოეულ ნაწილზე სამუშაოდ გეძლევათ 1 საათი და 35 წუთი.

ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას, და შემდეგ აირჩიეთ პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 80.

გისურვებთ წარმატებას!



ვერბალური ნაწილი

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. მათ გასწვრივ მოცემულია სიტყვა, რომელსაც სავარაუდო პასუხებიდან უნდა შევუსაბამოთ ერთ-ერთი ვარიანტი ისე, რომ სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავსი (ანალოგიური) იყოს.

1. ვინ : ვიღაც

როდის :

(ა) ყოველთვის

(ბ) იშვიათად

(გ) არასოდეს

(დ) ოდესმე

(ე) ზოგჯერ

2. ასპარეზი : სარბიელი

ჰორიზონტი :

- (ა) სფერო
- (ბ) არეალი
- (გ) სამყარო
- (დ) ფართობი
- (ე) თვალსაწიერი

3. რენტგენი : დიაგნოსტიკა

პრეპარატი :

- (ა) ანტიბიოტიკი
- (ბ) ოპერაცია
- (გ) რეცეპტი
- (დ) ინიექცია
- (ე) თერაპია

4. სფინქსი : ფანტასტიკური

ამფიბია :

- (ა) საპირისპირო
- (ბ) ორგვარი
- (გ) შერწყმული
- (დ) წყალხმელეთა
- (ე) შეცვლილი

5. პერფორმანსი : თვითგამოხატვა

ბრიფინგი :

- (ა) კრიტიკა
- (ბ) დისკუსია
- (გ) რიტორიკა
- (დ) დასაბუთება
- (ე) ინფორმირება

6. სპორტსმენი : თანრიგი

დიპლომატი :

- (ა) რანგი
- (ბ) პოლიტიკა
- (გ) იმუნიტეტი
- (დ) კომპრომისი
- (ე) მემორანდუმი

წინადადებების შევსება

მოცემულია წინადადებები, რომლებშიც გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველი ვარიანტი შეიცავს სიტყვათა ჯგუფს, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

7. საინტერესოა აღზრდის შესახებ პლატონის ერთი მოსაზრება: აღმზრდელის მიერ ----- იძულება ყმაწვილის ----- უაღრესად სასარგებლოა ----- , რომელიც იძულებით ----- .

- (ა) ფიზიკური ვარჯიშის / სხეულს ძალიან ვნებს, თუმცა, / მისი გონებისთვის; ანალოგიურად, ფიზიკური წრთობა / მიიღწევა, სასარგებლოა გონების გავითარებისთვის
- (ბ) სწავლის / გონებას არამც თუ არ ვნებს, არამედ / მისთვის; მაგრამ ფიზიკური წრთობა / მიიღწევა, მართლაც სასარგებლოა სხეულისათვის
- (გ) ფიზიკური ვარჯიშის / სხეულს არამც თუ არ ვნებს, არამედ / მისთვის; მაგრამ ცოდნა / არის შეძენილი, ფებს ვერ მოიკიდებს მის გონებაში
- (დ) სწავლის / გონებას ძალიან ვნებს, თუმცა, / მისი სხეულისთვის; ანალოგიურად, ცოდნა / არის შეძენილი, მხოლოდ ვნებას თუ მოუტანს მის სხეულს

8. ჩვენი ფიქრები ხშირად წარიმართება იქით, სადაც -----, – აი, ნამდვილი მიზეზი ჩვენი უბედურებისა. რა სიბეცეა, ისეთი დღემოკლე არსებისათვის, როგორც ადამიანია, მუდამ ----- იცქირებოდეს, რომელიც ----- , და ----- სარწმუნო აწმყოს.

- (ა) ოდესმე ვიქნებით / შორეულ წარსულში / ოდესღაც განხორციელდა / არ უგულებელყოფდეს
- (ბ) არასოდეს ვიქნებით / შორეული მომავლისკენ / იშვიათად თუ განხორციელდება / უგულებელყოფდეს
- (გ) ოდესღაც ვიყავით / შორეულ წარსულში / იშვიათად თუ განხორციელდება / უგულებელყოფდეს
- (დ) არასოდეს ვიქნებით / შორეული მომავლისკენ / ოდესღაც განხორციელდა / არ უგულებელყოფდეს

9. დღევანდელი საზოგადოებისთვის ნიშანდობლივია გამუდმებული, გარდაუვალი ცვლილებები. ამიტომ ----- გონივრული გადაწყვეტილების მიღება, თუ ----- სამყაროს არსებულ მდგომარეობას, ----- , თუ როგორი იქნება სამყარო მომავალში.

- (ა) შეუძლებელია / არ გაითვალისწინებ არა მხოლოდ / არამედ იმასაც
- (ბ) შესაძლებელია / გაითვალისწინებ მხოლოდ / და არ იფიქრებ იმაზე
- (გ) შეუძლებელია / გაითვალისწინებ / და თან იმაზეც იფიქრებ
- (დ) შესაძლებელია / არ გაითვალისწინებ არა მხოლოდ / არამედ იმასაც

10. როდესაც ადამიანი რაიმე ამოცანას წყვეტს, მაშინ ის ----- იმ ინფორმაციას, რომელიც უშუალოდ ----- და, ----- იმ ინფორმაციას, რომელიც ----- .

- (ა) უგულბელებოფს / ამოცანას არ ეხება / ამის სანაცვლოდ, ითვალისწინებს მხოლოდ / მის გადაჭრას უშუალოდ არ უკავშირდება
- (ბ) ყურადღებას მიაპყრობს / მოცემულ ამოცანას შეეხება / ამავე დროს, უგულბელებოფს / მის გადაჭრას უშუალოდ არ უკავშირდება
- (გ) უგულბელებოფს მხოლოდ / ამოცანას არ უკავშირდება / ამის სანაცვლოდ, არ ითვალისწინებს / მის გადასაჭრელად არის მნიშვნელოვანი
- (დ) ითვალისწინებს მხოლოდ / მოცემულ ამოცანას უკავშირდება / ამავე დროს, ყურადღებით ეკიდება / მის გადასაჭრელად არის აუცილებელი

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ან დიაგრამის ფორმით.

11. მოცემულია დებულებები:

- ზოგიერთი მრავალწლიანი მცენარე ბოლქვით მრავლდება.
- არც ერთი მცენარე, რომელიც ბოლქვით მრავლდება, არ არის მარადმწვანე.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა აუცილებლად ჭეშმარიტი, თუ მოცემული დებულებები ჭეშმარიტია?

- (ა) ზოგიერთი მრავალწლიანი მცენარე არ არის მარადმწვანე.
- (ბ) ზოგიერთი მარადმწვანე მცენარე ბოლქვით მრავლდება.
- (გ) ზოგიერთი მარადმწვანე მცენარე მრავალწლიანია.
- (დ) ყველა მრავალწლიანი მცენარე მარადმწვანეა.
- (ე) ყველა მარადმწვანე მცენარე მრავალწლიანია.

12. მეგობრები – ანა, გიო, ელენე, მაკა და დათო – ერთმანეთს სირბილში შეეჯიბრნენ. ყველა სხვადასხვა დროს მივიდა ფინიშთან. მოცემულია შემდეგი ცნობები:

- თუ ანამ ყველას გაასწრო, მაშინ გიო ბოლო ადგილზე გასულა.
- ბოლო ადგილზე გავიდა დათო ან მაკა.
- თუ ელენემ დათოს გაასწრო, მაშინ დათო ბოლო ადგილზე არ გასულა.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება ასახავდეს მეგობრებს შორის ადგილების განაწილებას?

	I	II	III	IV	V
(ა)	ელენე	გიო	დათო	მაკა	ანა
(ბ)	გიო	ანა	ელენე	დათო	მაკა
(გ)	ანა	ელენე	გიო	დათო	მაკა
(დ)	დათო	მაკა	გიო	ანა	ელენე
(ე)	ანა	ელენე	მაკა	დათო	გიო

13. მოცემულია დებულებები:

- ზოგიერთი სტუდენტი ფრიადოსანია.
- ყველა ფრიადოსანი სტუდენტი იღებს სტიპენდიას.
- ყველა ფრიადოსანი სტუდენტი იღებს წარჩინების დიპლომს.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა აუცილებლად მცდარი, თუ მოცემული დებულებები ჭეშმარიტია?

- (ა) ყველა სტუდენტი, რომელიც სტიპენდიას იღებს, იღებს წარჩინების დიპლომს.
- (ბ) ზოგიერთი სტუდენტი, რომელიც სტიპენდიას იღებს, იღებს წარჩინების დიპლომს.
- (გ) არც ერთი სტუდენტი, რომელიც სტიპენდიას იღებს, არ იღებს წარჩინების დიპლომს.
- (დ) ზოგიერთი სტუდენტი, რომელიც სტიპენდიას არ იღებს, იღებს წარჩინების დიპლომს.
- (ე) ზოგიერთი სტუდენტი, რომელიც სტიპენდიას იღებს, არ იღებს წარჩინების დიპლომს.

14. ექსპერიმენტის სახით, ქალაქის რამდენიმე ქუჩაზე, იმავე ტიპის სხვა ქუჩებთან შედარებით, მაქსიმალური დასაშვები სიჩქარე 10 კმ/სთ-ით შეამცირეს. სამთვლიანი მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ ამ ქუჩებზე სამჯერ შემცირდა ავტოსაგზაო შემთხვევათა სიხშირე. ამ ინფორმაციის საფუძველზე ქალაქის მერიამ გადაწყვიტა, **მაქსიმალური დასაშვები სიჩქარის 10 კმ/სთ-ით შემცირება ქალაქის ყველა ქუჩაზე, რომელზეც ის 40 კმ/სთ-ს აღემატებოდა.**

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვითარება დააყენებს ეჭვქვეშ აღნიშნული გადაწყვეტილების მართებულობას ყველაზე მეტად?

- (ა) ექსპერიმენტისთვის შეირჩა ქალაქის სხვადასხვა უბანში არსებული ქუჩები, რომლებზეც დასაშვები მაქსიმალური სიჩქარე სხვადასხვა იყო.
- (ბ) ექსპერიმენტი ჩატარდა ოქტომბერი-დეკემბრის პერიოდში, როდესაც უამინდობის გამო ადამიანები ავტომანქანებით მოძრაობას ანიჭებენ უპირატესობას.
- (გ) მანქანის უფრო დაბალი სიჩქარით ტარებისას მძღოლები უკეთესად აღიქვამენ, თუ რა ხდება გზაზე, თუმცა, კვლევით არ არის დადასტურებული, რომ ისინი უფრო ადეკვატურადაც რეაგირებენ.
- (დ) ექსპერიმენტისთვის შეირჩა სხვადასხვა ტიპისა და სხვადასხვა სიგანის ქუჩები, რომლებზეც ფუნქციურად განსხვავებული შენობებია.
- (ე) ექსპერიმენტის პერიოდში შერჩეულ ქუჩებზე შემცირდა მანქანების ნაკადი, რადგან მძღოლები არჩევდნენ ალტერნატიულ გზებს, რომლებზეც დასაშვები მაქსიმალური სიჩქარე შედარებით მაღალი დარჩა.

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ მასზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

i ქამელეონი ანატომიური თავისებურებების საოცარი სიმრავლით გამოირჩევა. სხეულზე გაცილებით გრძელ ენას მწერების დასაჭერად წამის მეთხუთმედში გამოისვრის; ტელესკოპური მხედველობა აქვს; კისერზე კანი ისე აქვს შემოხვეული, როგორც მაქმანებიანი საყელო... ქამელეონის ერთი თავისება ჯერ კიდევ არისტოტელეს ეპოქიდანაა ცნობილი – კანის ფერის შეცვლის უნარი. გავრცელებულია მითი, რომ ქამელეონი იმის ფერი ხდება, რასაც ეხება. მართალია, ფერის ზოგიერთი ცვლილება მას ნამდვილად ეხმარება გარემოსთან შერწყმაში, მაგრამ სინამდვილეში ეს ფიზიოლოგიური რეაქციაა, რომელსაც კომუნიკაციისთვის იყენებს – ამ „ფერადი ენით“ იმას გამოხატავს, რაც იმ წუთში აღელვებს: არშიყობა, კონკურენცია, გარემოდან მომდინარე საფრთხე.

ii მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ ქამელეონი ფერს მაშინ იცვლის, როდესაც კანის უჯრედების პიგმენტები უჯრედის ვენისმაგვარ გაგრძელებებში ვრცელდება.

თუმცა, ცნობილი გენეტიკოსისა და ბიოფიზიკოსის, მიშელ მილინკოვიჩის, კვლევამ ეს მოსაზრება ეჭვქვეშ დააყენა. ცხადია, პიგმენტები თავიანთ როლს ასრულებენ, მაგრამ არა ამ სახით. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ არსებობს უამრავი სახეობის მწვანე ქამელეონი, რომელთა კანის უჯრედებს მწვანე პიგმენტები სულაც არ აქვთ. ასე რომ, პიგმენტების უჯრედში „გავრცელებით“ ქამელეონების კანის ფერისცვალების ახსნა სარწმუნო არ არის.

მილინკოვიჩის გუნდმა ქამელეონის კანის პიგმენტური უჯრედების ფენის ქვეშ უჯრედების კიდევ ერთი შრე აღმოაჩინა – უმცირესი ზომის კრისტალები, რომლებიც სამკუთხა მესერის ფორმითაა განლაგებული. წნევისა და ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად ქამელეონის კანზე ამ კრისტალებს ისე შეუძლიათ „გადაწყობა“, რომ მათ შორის მანძილი იცვლება. ეს კი აისახება სინათლის ფერზე, რომელსაც კრისტალების მესერი აირეკლავს. როდესაც კრისტალებს შორის მანძილი იზრდება, არეკლილი ფერები ლურჯიდან კამკაშა მწვანე, ყვითელ, ნარინჯისფერსა და

iii

შეკითხვებზე გადასვლა: [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#)

წითელში გადადის. ფერების ასეთი „შოუ“ პანტერა-ქამელეონებში გვხვდება, როცა ისინი მოსვენებული მდგომარეობის შემდეგ ალიგზნებიან ან სასიყვარულო განწყობაზე დგებიან.

iv ქამელეონებს უღიმღამო შეფერილობის მიღების უნარი ეხმარებათ, სწრაფად და უსაფრთხოდ დაუსხლტნენ დომინანტ ინდივიდებს. ეს კანის ზედა შრეებში მუქი პიგმენტის – მელანინის – გაბნევით ხდება. ყველა ქამელეონი იცვლის ფერს, მაგრამ ზოგიერთი სახეობის შეფერილობა იმდენად მკვეთრად არ იცვლება, მოთვალთვალე რომ დააფრთხოს. მიუხედავად ამისა, თითქმის ყველა სახეობის ქამელეონს აქვს დაშინების თავისებური მეთოდები: ზოგს შეუძლია ასო V-ს ფორმის ნეკნების შეკუმშვით უფრო დიდი გამოჩნდეს –

სიგანეში ვიწროვდება და სიმაღლეში იმატებს, ზოგი კი მეტოქის დასაშინებლად კუდს მჭიდროდ იხვევს სხეულზე და ენით ხორხს იფართოებს.

v მათზე მონადირე ფრინველებისა და გველებისგან თავის დასაცავად ქამელეონებს დამალვის ორიგინალური ხერხები აქვთ. ხეზე მობინადრე ქამელეონები სხეულს ივიწროებენ, რომ ტოტს მოეფარონ; მიწაზე მობინადრე ქამელეონი კი მტაცებლის დანახვისას შეიძლება დამჭკნარ ფოთოლს დაემსგავსოს. ასე რომ, ქამელეონები მეტწილად თავად უმკლავდებიან გარკვეულ საფრთხეებს, თუმცა, ისინი უძლურნი არიან, როცა მათი საარსებო გარემო ნადგურდება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის ტყის გაკაფვისას.

შეკითხვებზე გადასვლა: [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#)

15. რას გულისხმობს გამოთქმა „ფერადი ენა“?

- (ა) ქამელეონი გამოირჩევა ანატომიური თავისებურებების ნაირგვარობით.
- (ბ) გავრცელებულია მითი, რომ ქამელეონი იმის ფერი ხდება, რასაც ეხება.
- (გ) ფერის ზოგიერთი ცვლილება ქამელეონს ეხმარება გარემოსთან შერწყმაში.
- (დ) ქამელეონისთვის ფერის ცვლილება მეწყვილესა თუ მეტოქესთან ურთიერთობის საშუალებაა.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

16. II აბზაცის რომელ წინადადებას აქვს არგუმენტის ფუნქცია?

- (ა) პიგმენტები თავიანთ როლს ასრულებენ, მაგრამ არა ამ სახით.
- (ბ) ქამელეონი ფერს მაშინ იცვლის, როდესაც კანის უჯრედების პიგმენტები უჯრედის ვენისმაგვარ გაგრძელებებში ვრცელდება.
- (გ) არსებობს უამრავი სახეობის მწვანე ქამელეონი, რომელთა კანის უჯრედებს მწვანე პიგმენტები სულაც არ აქვთ.
- (დ) პიგმენტების უჯრედში „გავრცელებით“ ქამელეონების კანის ფერისცვალების ახსნა სარწმუნო არ არის.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

17. რა პროცესი განაპირობებს „ფერების შოუს“ პანტერა-ქამელეონებში?

- (ა) კანქვეშა უჯრედების ქვედა შრეში უმცირესი ზომის კრისტალებს შორის მანძილის ცვლილება.
- (ბ) სამკუთხა მესერის ფორმით განლაგებული კრისტალების „გადაწყობისას“ მელანინის გაბნევა.
- (გ) უჯრედის ვენისმაგვარ გაგრძელებებში კანის უჯრედების პიგმენტების გავრცელება.
- (დ) ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებით ქამელეონის კანქვეშა კრისტალების რაოდენობის ცვლილება.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

18. პენსილვანიაში მცხოვრებ ნიკ ჰენს ლაბორატორიაში 200-მდე ქამელეონი ჰყავს. ერთმანეთი რომ არ გაადიზიანონ, მდედრები მამრებს ვერ ხედავენ, მამრები – მდედრებს ან მეტოქე მამრებს. ახალგაზრდა მამრ პანტერა-ქამელეონს, სახელად ემბერს, სხეულზე წითელი და მწვანე ზოლები აქვს. ნიკ ჰენი ჯოხზე სვამს ემბერს და გალიის კუთხესთან მიჰყავს. გვერდით ბინადრობს კოლექციის ყველაზე დიდი და ძლიერი მამრი, ლურჯზოლიანი პანტერა-ქამელეონი, სახელად ბოლტი. ნიკ ჰენი კარს ადებს და ბოლტი ემბერს ხედავს. ბოლტი წაიწევს წინ და ლურჯი ზოლები კაშკაშა ყვითელი უხდება, ხოლო ზურგი – მოწითალო-ნარინჯისფერი. რაც უფრო გრძელდება სანახაობა, კიდევ უფრო კაშკაშა ხდება ბოლტის ფერები. ნიკ ჰენი უკან იხევს და გალიაში აბრუნებს ემბერს.

ნიკ ჰენს უკან რომ არ დაეხია და ემბერი ბოლტის წინაშე დაეტოვებინა, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი სცენარი განვითარდებოდა?

ბოლტი დაჯახნიდა ემბერს და, სავარაუდოდ:

- (ა) ემბერის სხეულზე წითელი ზოლები უფრო კაშკაშა გახდებოდა, რადგან მეტოქესთან ურთიერთობისას ის კიდევ უფრო აღიგზნებოდა.
- (ბ) ბოლტის კანი ნარინჯისფერი გახდებოდა, რადგან ახალგაზრდა ემბერი მისთვის სახიფათო მეტოქე უნდა ყოფილიყო და გამოცდილი ქამელეონი ეცდებოდა, შეუმჩნეველი დარჩენილიყო.
- (გ) ბოლტის სხეული ყავისფერი გახდებოდა, რადგან ქამელეონი ფერს იცვლის, როდესაც სჭირდება იმის დემონსტრირება, რომ საფრთხეს არ წარმოადგენს.
- (დ) ემბერის კანი მუქი ყავისფერი გახდებოდა, რადგან უღიმღამო შეფერილობა ეხმარება ქამელეონს, შეუმჩნეველად დაუსხლტეს დომინანტ ინდივიდს.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

19. გარემოსთან ადაპტაციის ერთ-ერთი ფორმაა მიმიკრია – გარემოს ობიექტებთან ფორმით ან ფერით დამსგავსება. ტექსტის რომელ აბზაცშია მოცემული მიმიკრიის მაგალითი?

- (ა) II აბზაცში
- (ბ) III აბზაცში
- (გ) IV აბზაცში
- (დ) V აბზაცში

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

20. რა არის ამ ტექსტის ძირითადი მიზანი?

- (ა) გაგვაცნოს ქამელეონის მახასიათებელთა საოცარი სიმრავლის განმაპირობებელი ფაქტორები, რომლებიც არისტოტელეს ეპოქაშიც იწვევდა ინტერესს.
- (ბ) მიმოიხილოს ქამელეონის კანის ფერის ცვლილება და სხვა ანატომიური თავისებურებები, რომლებიც ეხმარება მას გარემოსთან ურთიერთქმედების, ადაპტაციის პროცესში.
- (გ) გაგვაცნოს კანის პიგმენტური უჯრედების ქვედა შრის უმცირესი ზომის კრისტალების ფუნქციები ქამელეონის ფერისცვალების პროცესში.
- (დ) გააანალიზოს ქამელეონების საარსებო გარემოს განადგურების განმაპირობებელი ფაქტორები და დასახოს გზები ამ სახეობის კონსერვაციისთვის.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დაადგინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში ასევე მოცემულია მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

21. თანავარსკვლავედი : ვარსკვლავი

- (ა) არქიპელაგი : კუნძული
- (ბ) კოლონადა : თალი
- (გ) რიგი : იარუსი
- (დ) ტყე : ბაღი
- (ე) რიყე : ქვა

22. პიკი : უმაღლესი

- (ა) სისტემა : სანოტო
- (ბ) ესტაკადა : საკვანძო
- (გ) იარუსი : იერარქიული
- (დ) ალიბი : კრიმინალური
- (ე) ალეგორია : არაპირდაპირი

23. ხვლიკი : რეგენერაცია

- (ა) მტრედი : მიგრაცია
- (ბ) როჭო : კონსერვაცია
- (გ) პინგვინი : ინკუბაცია
- (დ) თუთიყუში : იმიტაცია
- (ე) არქეოპტერიქსი : ადაპტაცია

24. ჭოგრითი : მისანი

- (ა) მუსიკოსი : მომღერალი
- (ბ) კარავი : თავშესაფარი
- (გ) ხიდი : შუამავალი
- (დ) ტივი : ტივტივა
- (ე) მწკრივი : ჯარი

25. მოკირწყლული : ქვები

- (ა) ასხმული : მძივები
- (ბ) მოოჭვილი : თვლები
- (გ) მოვარაყებული : ყდები
- (დ) მოქარგული : ორნამენტები
- (ე) მოჩუქურთმებული : სვეტები

26. მეწყერი : ნალექები

- (ა) მიწისძვრა : ქანები
- (ბ) ტორნადო : მტვერი
- (გ) ვულკანი : კრატერი
- (დ) მზე : გვალვა
- (ე) ნამქერი : ქარი

წინადადებების შევსება

მოცემულია წინადადებები, რომლებშიც გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველი ვარიანტი შეიცავს სიტყვათა ჯგუფს, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

27. ავტორი თავის წიგნს პარადოქსებზე აგებს. მაგალითად, წიგნის ერთ-ერთ თავში ის ამტკიცებს, რომ შუღლი ----- მშვიდობას, როგორც ამას საღი აზრი მიიჩნევს. ----- , მისი აზრით, შუღლი ----- ფაქტორი, რომელიც ხელს ----- მშვიდობის დაცვასა და სოციალური ერთიანობის შენარჩუნებას.

- (ა) არ ემუქრება / მიუხედავად ამისა / არ არის / უშლის
- (ბ) მართლაც ემუქრება / ამდენად / არის / არ უწყობს
- (გ) მართლაც ემუქრება / მაშასადამე / არ არის / უშლის
- (დ) არ ემუქრება / პირიქით / არის / უწყობს

28. ისევე, როგორც ყველა მყარ სისტემაში, კულტურაშიც საყრდენი სტრუქტურა მნიშვნელოვნად ზღუდავს თავისუფლებას. ----- სისტემის გარდაქმნა სტრუქტურის ----- მოითხოვს. ----- , რადგან სტრუქტურის დემონტაჟსა და ხელახლა აგებას ----- .

- (ა) ამასთან, აქ, სხვა სისტემებისგან განსხვავებით, / დემონტაჟს / ასეთი გარდაქმნები კი შედარებით უმტკივნეულოდ წარმართება / შორის სრული დეზორიენტაციის პერიოდია
- (ბ) თუმცა, სხვა სისტემებისგან განსხვავებით, აქ / შენარჩუნებას / ეს კი აძნელებს ასეთი გარდაქმნების განხორციელებას / ბევრად უფრო დიდი ძალისხმევა სჭირდება
- (გ) ამიტომ, ისევე, როგორც ყველგან, აქაც / დემონტაჟს / ამას კი უცილოდ თან ახლავს გარკვეული საშიშროება / შორის ერთგვარი დეზორიენტაციის პერიოდია
- (დ) ამის მიუხედავად, აქაც, ისევე, როგორც ყველგან, / შენარჩუნებას / ამით აიხსნება ამ სფეროში გარდაქმნების განსაკუთრებული მტკივნეულობა / მეტი ძალისხმევა დასჭირდებოდა

29. სუბიექტი და „ეკოლოგიური“ სამყარო, ----- , ურთიერთშემავსებლები ----- და მათი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განხილვა ----- , მაშინ, როცა ფიზიკური სამყაროს არსებობა ----- , არსებობს თუ არა მისი აღმქმელი სუბიექტი.

- (ა) ფიზიკური სამყაროსგან განსხვავებით / არიან / წარმოუდგენელია / დამოუკიდებელია იმისგან
- (ბ) ფიზიკური სამყაროს მსგავსად / არიან / წარმოუდგენელია / დამოუკიდებელია იმაზე
- (გ) ფიზიკური სამყაროს მსგავსად / არ არიან / სავსებით შესაძლებელია / დამოუკიდებელია იმაზე
- (დ) ფიზიკური სამყაროსგან განსხვავებით / არ არიან / სავსებით შესაძლებელია / არ არის დამოუკიდებელი იმაზე

30. ----- ბევრად უფრო უცნაურია, ვიდრე ნებისმიერი რამ, რაც ----- . ჩვენ ----- , რაც ბანალობად ითვლება ყოველდღიურ ყოფაში. დიდი ქალაქის თავზე გადაფრენა და მის სახლებში ჩუმად შეჭყეტა რომ შეგვძლებოდა, ისეთ უცნაურ დამთხვევებს, მოვლენათა გასაოცარ ჯაჭვებს აღმოვაჩენდით, რომ ----- , თავისი წესებითა და პრინციპებით, სრულიად ----- მოგვეჩვენებოდა.

- (ა) ცხოვრება / ადამიანმა შეიძლება შეთხზას / ხშირად ვხვდებით რომანებში იმ ყველაფერს / ცხოვრებისეული სიტუაციების უმრავლესობა / უფერულად და უინტერესოდ
- (ბ) ცხოვრება / ადამიანმა შეიძლება შეთხზას / ვერც კი გავხვდებით იმის წარმოდგენას / მთელი მხატვრული ლიტერატურა / უფერულად და უინტერესოდ
- (გ) ადამიანის ფანტაზიით შექმნილი სამყარო / ცხოვრებაში შეიძლება მოხდეს / ვერც კი გავხვდებით რომანებში იმის წარმოდგენას / მთელი მხატვრული ლიტერატურა / უჩვეულოდ და აუხსნელად
- (დ) ადამიანის ფანტაზიით შექმნილი სამყარო / ცხოვრებაში შეიძლება მოხდეს / არ გაგვიჩირდება იმ ყველაფრის წარმოდგენა / ცხოვრებისეული სიტუაციების უმრავლესობა / წარმოუდგენლად და აუხსნელად

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ან დიაგრამის ფორმით.

31. კვადრატული მოედნის კუთხეებში ოთხი სხვადასხვა შენობა დგას. ერთ-ერთ მათგანში განთავსებულია ბანკი, ერთ-ერთში – თეატრი, ერთში – სუპერმარკეტი და ერთშიც – აფთიაქი. ცნობილია:

- ბანკის შენობა აფთიაქის შენობაზე უფრო დაბალია.
- სუპერმარკეტის შენობა თეატრის შენობაზე უფრო მაღალია.
- ბანკის შენობა ყველაზე დაბალი შენობის მიმართ დიაგონალურად დგას.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია შეუძლებელი?

- (ა) აფთიაქის შენობა როგორც თეატრის, ისე სუპერმარკეტის შენობაზე უფრო მაღალია.
- (ბ) სუპერმარკეტის შენობა აფთიაქის მიმართ დიაგონალურად დგას.
- (გ) ყველაზე მაღალი შენობა ყველაზე დაბალი შენობის მიმართ დიაგონალურად დგას.
- (დ) სუპერმარკეტის შენობა ყველაზე მაღალი შენობის მიმართ დიაგონალურად დგას.
- (ე) სუპერმარკეტის შენობა როგორც აფთიაქის, ისე ბანკის შენობაზე უფრო მაღალია.

32. უჯრაში ნივთები აწყვია. ცნობილია:

- I. უჯრაში დევს წითელი ბურთი ან ყვითელი კუბი (ერთ-ერთი მაინც).
- II. უჯრაში დევს მწვანე პირამიდა ან არ დევს ყვითელი კუბი.

ამ დებულებების საფუძველზე ნიკამ დაასკვნა:

თუ უჯრაში დევს მწვანე პირამიდა, მაშინ მასში არ დევს წითელი ბურთი.

ნიკას დანასკვი:

- (ა) გამომდინარეობს მხოლოდ ორივე დებულებიდან ერთობლივად.
- (ბ) გამომდინარეობს მხოლოდ პირველი დებულებიდან მეორის გარეშე.
- (გ) გამომდინარეობს მხოლოდ მეორე დებულებიდან პირველის გარეშე.
- (დ) გამომდინარეობს თითოეული დებულებიდან ცალ-ცალკე.
- (ე) არ გამომდინარეობს მოცემული დებულებებიდან.





33. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ზებრა აფრიკული სავანის ყვითელ და მწვანე ფერებს შორის ძალიან ადვილად გამოირჩევა, მაგრამ მეცნიერებმა უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოთქვეს მოსაზრება, რომ **ზოლები ზებრას მტაცებლებისგან თავის დაცვაში ეხმარება.**

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ განამტკიცებს ამ მოსაზრებას?

- (ა) ზებრას მთავარი მტერი – ლომი – მხოლოდ თეთრ და შავ ფერებს ხედავს. ზებრას ზოლები ეფექტური კამუფლაჟია, ვინაიდან ბალახებს კარგად ეხამება.
- (ბ) როდესაც ზებრების რემა გარბის, მათი ზოლები თითქოს ერთმანეთს ერწყმის და მტაცებელს ერთ-ერთი მათგანის გამოცალკევება ძალიან უჭირს.
- (გ) დევნისას ცხოველის ზოლები მტაცებელს თავგზას უბნევს და იგი ვეღარ ხვდება, რა მიმართულებით ან რა სიჩქარით მოძრაობს მსხვერპლი.
- (დ) ზებრები თავიანთ უნიკალურ ზოლებიან შეფერილობას, სავარაუდოდ, ერთმანეთის საცნობად იყენებენ. მტაცებლებს კი ზოლების ამ განსხვავებულობის აღქმა არ შეუძლიათ.
- (ე) მტაცებლები ზებრასა და მთლიანად მუქი შეფერილობის მქონე ანტილოპა გნუს ჯოგებზე თავდასხმისას მსხვერპლად უპირატესად გნუს ირჩევენ.

34. მოცემულია მსჯელობა: ამ დასის მხოლოდ ზოგიერთი წევრია პროფესიონალი მოცეკვავე; ყველა პროფესიონალი მოცეკვავე ფიზიკურად ძლიერია. მაშასადამე, ამ დასის ზოგიერთი წევრი არ არის ფიზიკურად ძლიერი.

ქვემოთ მოცემული დიაგრამებიდან რომელი აჩვენებს, რომ ეს მსჯელობა არ არის სწორი (რომ დანასკვი არ გამოდინარეობს წანამძღვრებიდან)?



- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ III
- (დ) მხოლოდ II და III
- (ე) მხოლოდ III და IV

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ და გააზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ მასზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

i საქალაქო გარემოს ფორმირებისა და საცხოვრებლის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემატიკა ჯერ კიდევ ძვ. წ. IV-II ათასწლეულებში იჩენს თავს. ქალაქების წარმოშობამ და, იმავედროულად, მათში ეკოლოგიური პრობლემების გაჩენამ აუცილებელი გახადა კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელება და შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება, რომლებიც საქალაქო გარემოს ბუნებრივი ელემენტების დაცვისა და გარემოზე ადამიანის უარყოფითი ზემოქმედების შერბილებისკენ იქნებოდა მიმართული. ქალაქებისა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ამგვარი ღონისძიებების მასშტაბებიც.

ii ხელოვნებისა და არქიტექტურის თეორეტიკოსი, მარკუს ვიტრუვიუსი (ძვ. წ. I საუკუნის II ნახევარი), თავის თეორიულ ნაშრომში („ათი წიგნი არქიტექტურაზე“) ეხება ქალაქთმშენებლობის საკითხებს. იგი აყალიბებს იმ ძირითად მოთხოვნებს, რომლებიც საფუძვლად უნდა ედოს ნებისმიერი ქალაქის დაარსებასა და განვითარებას. კერძოდ, ესაა კეთილმყოფელი კლიმატი და ქალაქის მშენებლობის-

თვის განსაზღვრული ადგილის ხელსაყრელი პირობები – სუფთა სასმელი წყალი, სახმელეთო და საწყლოსნო გზების სისტემა ტვირთებისა და საქონლის გადასაზიდად, ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწების სიახლოვე. ვიტრუვიუსი ნაშრომში აყალიბებს ქალაქის ძირითადი მოედნების განლაგებისა და ქუჩების გაყვანის პრინციპებს.

iii სწორედ ამ პერიოდში ერთ-ერთ პირველ „ქალაქ-მილიონერად“, ე.ი. ქალაქად, რომლის მოსახლეობამაც მილიონს გადააჭარბა, იქცა ანტიკური რომი. ის პრაქტიკულად იმავე პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, რომლებიც დღევანდელი მსხვილი ქალაქებისთვისაა დამახასიათებელი. ძვ. წ. I საუკუნეში, ისტორიული წყაროების მიხედვით, ქალაქში არ წყდებოდა ხმაური არც დღისითა და არც ღამით. ტრანსპორტით რომის ქუჩები ისე იყო გადატვირთული, რომ იულიუს კეისარმა გამოსცა კანონი, რომელიც ეხებოდა სატრანსპორტო ნაკადების რეგულირებას და რომლის მიხედვითაც, სხვადასხვა სახის ურმის გადაადგილება შესაძლებელი იყო მხოლოდ

შეკითხვებზე გადასვლა: [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#)

მათთვის განსაზღვრული დროის მონაკვეთში. გარემოს დაბინძურება, რომელსაც პოსტინდუსტრიულ მოვლენად მიიჩნევენ, უცხო არც ძველი რომისთვის ყოფილა. ჰაერის დაბინძურება, რომელსაც რომაელები „მძიმე ცას“ უწოდებდნენ, დიდწილად შეშის წვის შედეგს წარმოადგენდა. ძველ რომში საკმაოდ მნიშვნელოვან სირთულეებს ჩამდინარე წყლები და საყოფაცხოვრებო ნარჩენების არსებობა წარმოშობდა.

iv დღემდე მოღწეული ისტორიული ცნობების თანახმად, დროთა განმავლობაში, რომის ელიტარული მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილად ყალიბდება საპარკო ზონებში განთავსებული ქალაქგარე აგარაკები. შეიმჩნეოდა მდიდარი მოქალაქეების ქალაქის ცენტრიდან პერიფერიებში გადინების საგულისხმო ტენდენცია, რაც შესაძლოა ცენტრში ცხოვრების პირობების გაუარესებით იყო ნაკარნახევი.

v მეტად შთამბეჭდავია ის ღონისძიებები, რომლებსაც

ძველი რომაელები მიმართავდნენ სერიოზული ეკოლოგიური პრობლემების შემსუბუქების მიზნით. მაგალითად, იმპერატორმა იუსტინიანემ (482-565), ყველა მოქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე, წყალი და ჰაერი სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის იმდროინდელი პროგრამები საუკეთესო იყო საუკუნეების განმავლობაში. აღსანიშნავია საკანალიზაციო სისტემის მოწყობა ძველ რომში, რომლის მეშვეობითაც დაბინძურებული წყალი ჩაედინებოდა მდინარე ტიბრში და რომელიც XIX ს-ის მიჯნამდე ერთადერთი იყო მთელ ევროპაში. ძველი რომი ცნობილია აკვედუკების მშენებლობით, რომლებიც სუფთა, ახალი წყლით უზრუნველყოფდა რომის მოსახლეობას. რომის ტერიტორიაზე დღემდეა შემორჩენილი საზოგადოებრივ თუ კერძო აბანოთა კომპლექსების ნაშთები, რომლებიც გავრცელებული იყო არა მხოლოდ უშუალოდ რომში, არამედ იმპერიის სხვა ქალაქებშიც.

შეკითხვებზე გადასვლა: [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#)

35. ტექსტის პირველ აბზაცში:

- (ა) მონიშნულია ქალაქგეგმარების ყველა ის პრობლემა, რომლებმაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე იჩინა თავი.
- (ბ) ხაზგასმულია ქალაქთმშენებლობის პრობლემატიკის კვლევის მნიშვნელობა.
- (გ) მოკლედ არის მიმოხილული საქალაქო გარემოს შექმნის წინაპირობები.
- (დ) მითითებულია ქალაქთმშენებლობის ერთ-ერთი იმ საკითხთაგანი, რომლებიც ტექსტშია განხილული.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

